



ღვინის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის საქმიანობის ანგარიში

სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის ძირითად მიმართულებას ქართული ღვინის პოპულარიზაცია, მევენახეობა-მეღვინეობის პროდუქციის ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა და ქართული ღვინის საექსპორტო პოტენციალის ზრდის ხელშეწყობა წარმოადგენს.

საანგარიშო პერიოდში სააგენტო ზემოთ ჩამოთვლილ საქმიანობას სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან მუდმივი კონტაქტის, ასევე შესაბამის სახელმწიფო და მეღვინეობის სფეროში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და კერძო კომპანიებთან თანამშრომლობის რეჟიმში ახორციელებდა.

საძიებო:

პოპულარიზაცია	2 გვ.
ექსპორტი	13 გვ.
რთველი 2015	15 გვ.
საკანონმდებლო საქმიანობა.....	15 გვ.
სერტიფიცირების ახალი წესები.....	16 გვ.
WWTG-ს თავმჯდომარეობა	16 გვ.
საინსპექციო კონტროლი	17 გვ.
ვენახეობის კადასტრი	17 გვ.
ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევა	18 გვ.

1. პოპულარიზაცია

მეღვინეობა-მევენახეობის დარგის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, სააგენტოს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა 2015 წლის საქმიანობის სტრატეგიული გეგმა მარკეტინგის საბჭოსთან ერთად შეიმუშავა. არსებული დოკუმენტის შემუშავებაში, აქტიური მონაწილეობა მიიღო გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებამ (GIZ).

მარკეტინგული სტრატეგიული გეგმის თანახმად, ქართული ღვინის პრეზენტაცია მოხდა მსოფლიოს 13 ქვეყანაში: - საფრანგეთი, იტალია, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, პოლონეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, აშშ, იაპონია, ჩინეთი/ჰონგ-კონგი, ყაზახეთი და სამხრეთ კორეა. საანგარიშო პერიოდში ქართული ღვინო წარდგენილი იყო შემდეგ ღონისძიებებზე:

➤ **Gruene Woche 2015, გერმანია**

16-25 იანვარს ქართული ღვინო და ალკოჰოლური სასმელები, სხვა ქართულ პროდუქციასთან ერთად, წარმოდგენილი იყო ბერლინში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე "მწვანე კვირეული 2015" (Gruene Woche 2015).

➤ **გამოფენა „Les Penitentes”, საფრანგეთი**

31 იანვარს და 1 თებერვალს საფრანგეთის ქალაქ ანჟეში ბუნებრივი ღვინოების გამოფენა „Les Penitentes” ჩატარდა, სადაც ქართული ქვევრის ღვინოები მსოფლიოს მეღვინეობით სახელგანთქმული ისეთი ქვეყნების გვერდით იყო წარმოდგენილი, როგორცაა საფრანგეთი, იტალია.

➤ **„La Dive Boutteille”, საფრანგეთი**

1-2 თებერვალს საფრანგეთის ქალაქ სომურში ბუნებრივი ღვინოების მე-16 გამოფენა „La Dive Boutteille” ჩატარდა, საქართველოდან მონაწილეობდნენ ქვევრის ღვინის მწარმოებელი კომპანიები.

➤ **„VIGNAIOLI NATURALI A ROMA”, იტალია**

7-8 თებერვალს 9 ქართული კომპანიის 30 დასახელების ქვევრის ღვინო იტალიის დედაქალაქ რომში გამართულ ნატურალური ღვინის გამოფენაზე „VIGNAIOLI NATURALI A ROMA” იყო წარმოდგენილი.

➤ **Boston Wine Expo, აშშ**

14-16 თებერვალს ქართული ღვინო პირველად იყო მასშტაბურად წარმოდგენილი აშშ-ში, კერძოდ, ქალაქ ბოსტონში გამართულ ერთ-ერთ პრესტიჟულ საერთაშორისო ღვინის გამოფენაზე Boston Wine Expo (აშშ). ქართული ღვინის წარდგენაში მონაწილეობდა ცნობილი ღვინის მაგისტრი ლიზა გრანიკი (Ms. Lisa Granik).

➤ **„FOODEX JAPAN 2015“, იაპონია**

3-6 მარტს იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში კვების პროდუქტებისა და სასმელების მე-40 საერთაშორისო გამოფენა „FOODEX JAPAN 2015“ გაიმართა, სადაც ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით წარმოდგენილი იყო 6 ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიის პროდუქცია.

➤ **Vini Veri, იტალია**

20-22 მარტს ქართული ქვევრის ღვინის მწარმოებელი კომპანიების პროდუქცია იტალიის ქალაქ ჩერეაში გამართულ ნატურალური ღვინის საერთაშორისო გამოფენა Vini Veri-ზე იყო წარმოდგენილი. ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელშეწყობით, წელს გამოფენის სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ დაეგემოვნებინათ ქართული ქვევრის ღვინო.

➤ **„China Food & Drink Fair“, ჩინეთი**

26-28 მარტს 10 ქართული ღვინის კომპანიის პროდუქცია წარმოდგენილი იყო ჩინეთში, სიჩუანის პროვინციის ქალაქ ჩენგდუში გამართულ გამოფენაზე „China Food & Drink Fair”.

➤ **“Vinisfera”, პოლონეთი**

26 მარტს ქართული ღვინის სემინარი და დეგუსტაცია, 27 მარტს ქართული ჭაჭისა და ჭაჭისგან დამზადებული ინოვაციური კოქტილების წარდგენა-დეგუსტაცია გაიმართა ვარშავაში. 30 მარტს ქართული ღვინის სემინარი/დეგუსტაცია და 31 მარტს ჭაჭის პრეზენტაცია კრაკოვში გაიმართა. ღვინის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებთან ერთად “Vinisfera”-ს დამფუძნებელი მარიუს კაპჩინსკი უძღვებოდა.

- **Wine and Gourmet Japan 2015, იაპონია**
15-17 აპრილს, იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში საერთაშორისო გამოფენა „Wine and Gourmet Japan 2015” გაიმართა, სადაც ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით წარმოდგენილი იყო 6 ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანია.
- **„Seoul Interenational Wines and Spirits Expo 2015”, სამხრეთ კორეა**
23-25 აპრილს ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელშეწყობით, ქართული ღვინის მწარმოებელ კომპანიებს პირველად მიეცათ შესაძლებლობა საკუთარი პროდუქცია წარედგინათ აზიის ერთ-ერთ პერსპექტიულ საექსპორტო ბაზარზე კორეის რესპუბლიკაში. გამოფენაში მონაწილეობდა ქართული ღვინისა და ალკოჰლური სასმელების შვიდი კომპანია.
- **ქართული ღვინის პრეზენტაცია საფრანგეთში**
27 აპრილს საფრანგეთის ქალაქ კანში ქართული ღვინის პრეზენტაცია-დეგუსტაცია გაიმართა, რომელსაც ცნობილი „მიშლენის“ ვარსკვლავის მქონე რესტორნების ქსელის რამდენიმე ათეული სომელიე დაესწრო. კანში წარმოდგენილი იყო ქართული ღვინის მწარმოებელი 8 კომპანიის 18 დასახელების ღვინო.
- **ქართული ღვინის პირველი წარდგენა მაკაოში, ჩინეთი**
29 აპრილს ღვინის ეროვნული სააგენტოსა და ცნობილი ღვინის მაგისტრის დებრა მეიბურგის ორგანიზებით, ჩინეთის ქალაქ მაკაოში ქართული ღვინის სემინარი-დეგუსტაციის გაიმართა. ღონისძიებას ადგილობრივი იმპორტიორები, ღვინის მაღაზიებისა და ბარების წარმომადგენლები, ბლოგერები, ღვინის თემაზე მომუშავე ჟურნალისტები დაესწრნენ.
- **ქართული ღვინის წარდგენა ჰონგ-კონგში**
29 აპრილს ჰონგ-კონგში ადგილობრივი დისტრიბუტორების, იმპორტიორების, ღვინის მომხმარებლებისა და მედიისთვის ქართული ღვინის პრეზენტაცია-დეგუსტაცია გაიმართა. ღონისძიების ორგანიზატორი იყო ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ დაქირავებული მარკეტინგული კომპანია „Meiburg Wine Media”-ს ხელმძღვანელი, ცნობილი ღვინის მაგისტრი დებრა მეიბურგი.
- **ქართული ღვინო ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციაში (OIV)**
29 აპრილს პარიზში, ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV) სათაო ოფისში ქართული ღვინის პრეზენტაცია საფრანგეთში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, სომელიეების, ენოლოგების, ღვინის ჟურნალისტებისა და

ბლოგერების, ასევე UNESCO-ს წარმომადგენლების წინაშე გაიმართა. ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ ღვინის ეროვნული სააგენტო და საფრანგეთში საქართველოს საელჩო და მას 350 სტუმარი დაესწრო.

➤ **ახალი ღვინის ფესტივალი 2015**

8-10 მაისს ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, თბილისში „ახალი ღვინის ფესტივალი 2015“ ჩატარდა. ფესტივალმა დედაენის ბაღში ათასობით სტუმარს უმასპინძლა. ფესტივალზე წარმოდგენილი იყო 2014 წლის მოსავლის ახალი ღვინოები, რომელიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ღვინის 60-მდე კომპანიამ და მცირე მარანმა და 55-მა საოჯახო მარანმა წარმოადგინა.

➤ **ქართული ღვინის დეგუსტაცია გუანჯოუში, ჩინეთი**

10-12 მაისს, ჩინეთის ქალაქ გუანჯოუში რიგით მე-14 ღვინისა და სპირტიანი სასმელების საერთაშორისო გამოფენა „Interwine China 2015“ გაიმართა. გამოფენის ფარგლებში 11 მაისს ჩატარდა ქართული ღვინის სემინარი/დეგუსტაცია სახელწოდებით -“Discover the roots of Georgian wine”, რომელსაც უძღვებოდა ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ შერჩეული მარკეტინგული კომპანია „Meiburg Wine Media“-ს ხელმძღვანელი, ცნობილი ღვინის მაგისტრი დებრა მეიბურგი.

➤ **RAW, ლონდონი**

17-18 მაისს, ქართული ქვევრის ღვინის მწარმოებელი მცირე მარნები დიდი ბრიტანეთის დედაქალაქ ლონდონში გამართულ ბუნებრივი ღვინოების საერთაშორისო გამოფენაში „RAW“ (The Artisan Wine Fair London) იყო წარდგენილი. ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, საქართველოდან გამოფენაში მონაწილეობდა ქვევრის ღვინის მწარმოებელი 10 კომპანია.

➤ **19th Investment and Trade Forum for Cooperation between East and West China and Silk Road International Exposition, ჩინეთი**

22-26 მაისს ქართული ღვინის მწარმოებელი 14 კომპანია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შანსის პროვინციის ქალაქ სიანში ჩატარებულ საერთაშორისო საინვესტიციო-სავაჭრო ფორუმში (19th Investment and Trade Forum for Cooperation between East and West China and Silk Road International Exposition) იყო წარმოდგენილი.

➤ **ქართული ღვინის საგანმანათლებლო და ღვინის კულტურის სემინარები პეკინში**

ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და ცნობადობის გაზრდის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქ

პეკინში ქართული ღვინის საგანმანათლებლო და ღვინის კულტურის სემინარები ჩატარდა, რომელსაც საერთო ჯამში 600-ზე მსმენელი დაესწრო. წინასწარ შერჩეულ მსმენელებს შორის იყვნენ ღვინის ექსპერტები, ღვინის მოყვარულები, დისტრიბუტორები და ღვინის მაღაზიების ქსელების მფლობელები, ხელოვნებისა და კულტურის სფეროს, მედიისა და ბიზნესის წარმომადგენლები, ჩინეთის წამყვანი უნივერსიტეტების პროფესორები.

➤ **ქართული ღვინო ლონდონში**

26 და 27 მაისს, ბრიტანულ-ქართული სავაჭრო პალატის ორგანიზებითა და ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, დიდი ბრიტანეთის დედაქალაქ ლონდონში ქართული ღვინის პრეზენტაცია-დეგუსტაციები მოეწყო.

ქართული ღვინის დეგუსტაცია 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავ მიღებაზე გაიმართა, რომელსაც საქართველოს ელჩმა გაერთიანებულ სამეფოში რევაზ გაჩეჩილაძემ უმასპინძლა.

27 მაისს, ღვინის პროფესიონალებსა და მოყვარულებს ქართული ღვინის დაგემოვნების შესაძლებლობა მიეცათ ლონდონის პრესტიჟულ ღვინის სახლში „ჰედონიზმი“. პრეზენტაციას უძღვებოდა ცნობილი ღვინის მაგისტრი სარა ებოტი (Sarah Abbott).

➤ **საქართველოს დამოუკიდებლობის დღე**

26 მაისს ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ქართული ღვინის დეგუსტაციები დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით გაიმართა ვარშავაში, რიგაში, ვილნიუსში, ტალინსა და ასტანაში.

➤ **გამოფენა Vyno Dienos**

29-30 მაისს ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსში მე-8 საერთაშორისო გამოფენა „Vyno dienos 2015“ ჩატარდა. აღნიშნული გამოფენა ბალტიისპირეთში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებად ითვლება. გამოფენას 5 ათასზე მეტი ღვინის პროფესიონალი და მოყვარული დაესწრო პირი. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო შვიდი ღვინის მწარმოებელი კომპანია.

➤ **დეგუსტაციები აშშ-ში**

ივნისში, ღვინის მაგისტრის ლიზა გრანიკის მარკეტინგული კომპანია „Tastingworks“. კომპანიამ „Tastingworks“-მა მოაწყო ქართული ღვინის დეგუსტაციები სან-ფრანცისკოში, პორტლენდში, ბოსტონში, ვაშინგტონში.

- **ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების საერთაშორისო გამოფენა WinExpo Georgia 2015**
5-7 ივნისს, თბილისში, საგამოფენო ცენტრში „ექსპო ჯორჯია“ ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მე-8 საერთაშორისო გამოფენა - WinExpo Georgia 2015 - გაიმართა. გამოფენაში მონაწილეობას 100-მდე კომპანია იღებდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, მათ შორის, გერმანიიდან, უკრაინიდან, პორტუგალიიდან, მოლდოვიდან, იტალიიდან.
გამოფენის ფარგლებში, 5 და 6 ივნისს, ღვინისა და ვაზის საერთაშორისო ორგანიზაციის OIV-ის ოფიციალური პატრონაჟით ღვინის მე-7 საერთაშორისო კონკურსი “International Wine Competition” ჩატარდა.
- **Vinexpo Bordeaux 2015, საფრანგეთი**
14-18 ივნისს, ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიები მონაწილეობდნენ ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების საერთაშორისო გამოფენაზე Vinexpo Bordeaux 2015, რომელიც საფრანგეთის ქალაქ ბორდოში ჩატარდა. ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, წელს ქართული ღვინო პირველად იყო წარმოდგენილი მასშტაბურად, ერთიანი ბრენდირებული სტენდის ქვეშ, ამ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გამოფენაზე. ღვინის პროფესიონალებისთვის ქართული ღვინის პრეზენტაცია-დეგუსტაციები გამართეს საერთაშორისო ღვინის მაგისტრმა ლიზა გრანიკმა და ღვინის ექსპერტმა რობერტ ჯოზეფმა, საქართველოს სომელიეთა ასოციაციის პრეზიდენტმა შალვა ხეცურთანმა, მსოფლიოს საუკეთესო სომელიე (2013 წ) პაოლო ბასომ და ჟურნალ "დეკანტერის" რედაქტორმა სტივენ სპურიემ, მოეწყო ორი სპეციალური სადამო (THEBLEND, WINE MOSAIC), სადაც სხვა რამდენიმე ქვეყანასთან ერთად, საქართველოც იყო ღვინით მასპინძელი. Vinexpo-ს სპირტიანი სასმელების პავილიონში გაიმართა ჭაჭისა და ჭაჭის ინოვაციური კოქტეილების პრეზენტაცია.
- **ქართული ღვინო კრაკოვში, პოლონეთი**
23 ივნისს, პოლონეთის ქალაქ კრაკოვში ქართული ღვინის სემინარი-დეგუსტაცია გაიმართა, სადაც წარმოდგენილი იყო ქართული ღვინის მწარმოებელი მსხვილი კომპანიებისა და მცირე მარნების ქვევრის ღვინოები. ქართული ღვინის პრეზენტაციას უძღვებოდა კომპანია „Vinisfera“-ს დირექტორი მარიუს კაპჩინსკი.
- **ქართული ღვინის პოპულარიზაციის ცენტრი, ჩინეთი**
15 ივლისს, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით პეკინში ქართული ღვინის პოპულარიზაციის ცენტრი გაიხსნა.

➤ **დეგუსტაცია, ჰონგ-კონგი**

20 ივლისს, მარკეტინგული კომპანია „Meiburg Wine Media“-ს ხელმძღვანელმა, ღვინის მაგისტრმა დებრა მეიბურგმა ჰონგ-კონგში ქართული ღვინის პრეზენტაცია-დეგუსტაცია გამართა.

➤ **ღვინის ტურები**

- 23-29 აგვისტოს ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ღვინის პროფესიონალებისთვის ჰონგ-კონგიდან, საქართველოში ღვინის ტური მოეწყო. ჯგუფის შემადგენლობაში იყვნენ ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი მარკეტინგული კომპანია „Meiburg Wine Media“-ს ხელმძღვანელი ღვინის მაგისტრი დებრა მეიბურგი (Debra Meiburg), ასევე ღვინის მწერალი სარა ვონგი (Sarah Wong), ჟურნალისტი ლუსი მორგანი (Lucy Morgan) და სერტიფიცირებული ღვინის პროფესიონალი მაბელ ლეი (Mabel Lai)
- 16-26 სექტემბერს საქართველოს ჩინეთიდან 28 ჟურნალისტი ეწვია. მედია-ტურის მიზანი იყო საქართველოს, როგორც ღვინის სამშობლოსა და აბრეშუმის გზის ქვეყნის კულტურისა და ტრადიციების გაცნობა ჩინეთის მოსახლეობისათვის ფოტორეპორტაჟების, ვიდეო მასალისა და ბეჭდური მედიის საშუალებით.
- 4-10 სექტემბერს ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის „Tastingwork“-ის ხელმძღვანელი, ღვინის მაგისტრი ლიზა გრანიკი (აშშ) და კომპანიის წარმომადგენლები, ღვინის პროფესიონალები საქართველოს სტუმრობდნენ.
- ოქტომბერში ჩინური მედიისა და ბიზნესის წარმომადგენლებისთვის საქართველოში ერთკვირიანი ღვინის ტური მოეწყო. 15-კაციანი დელეგაციის წევრებს საქართველოში ვიზიტის ფარგლებში შესაძლებლობა მიეცათ მოენახულებინათ კახეთში მდებარე ღვინის კომპანიები და შეხვედროდნენ როგორც ხელისუფლების წარმომადგენლებს, ისე მეღვინეებს
- **ქვევრის ღვინის საერთაშორისო სიმპოზიუმი, საქართველო**
- 6-8 სექტემბერს საქართველომ ქვევრის ღვინის მე-3 საერთაშორისო სიმპოზიუმს უმასპინძლა. ღონისძიების მიზანს, საზოგადოებისათვის და უცხოელი სპეციალისტებისთვის ქვევრში ღვინის დაყენების მრავალსაუკუნოვანი ტრადიციისა და მეთოდოლოგიის, ქართული მეღვინეობის ისტორიისა და კულტურის, მრავალფეროვანი ღვინოებისა და ყურძნის ჯიშების, ქართული სამზარაულოს და კულტურის გაცნობა წარმოადგენდა. ქვევრის ღვინის მე-3 საერთაშორისო

სიმპოზიუმში სხვადასხვა ქვეყნის (აშშ, კანადა, დიდი ბრიტანეთი, იტალია) მეცნიერები, ღვინის ექსპერტები, მაგისტრები, სომელები და ჟურნალისტები მონაწილეობდნენ.

➤ **ქართული ღვინის დღე, საქართველო**

4 ოქტომბერს „ქართული ღვინის დღე“ აღინიშნა. საზეიმო ღონისძიებებმა მასშტაბური სახე მიიღო და თბილისის გარდა, თელავში, ქუთაისში, რუსთავსა და ამბროლაურში გაიმართა. „ქართული ღვინის დღის“ ფარგლებში, ღვინის ეროვნული სააგენტოს ოფისში ქართული ღვინის ცენტრი საზეიმოდ გაიხსნა. ქართული ღვინის ცენტრში ერთიანდება მცირე მუზეუმი, ენოთეკა, მარანი, სადეგუსტაციო ოთახები და სასწავლო აუდიტორიები.

➤ **ოქტომბერი- ქართული ღვინის თვე**

6 ოქტომბერს ნიუ-ორკში, 13 ოქტომბერს სან-ფრანცისკოში და 19 ოქტომბერს ვაშინგტონში გაიმართა ქართული ღვინის მასშტაბური პრეზენტაცია-დეგუსტაციები, სადაც წარმოდგენილი იყო 22 ქართული - როგორც დიდი ღვინის კომპანიის, ასევე მცირე საოჯახო მარნების სხვადასხვა სტილის ღვინოები.

➤ **„EnoExpo 2015“, პოლონეთი**

4-6 ნოემბერს პოლონეთის ქალაქ კრაკოვში გამართულ, ღვინის მე-13 საერთაშორისო გამოფენა-გაყიდვაზე „EnoExpo 2015“ მონაწილეობდა ქართული ღვინის მწარმოებელი 11 კომპანია. გამოფენის ფარგლებში გამართულ კონკურსზე კომპანიის - „ამირან ვეფხვაძის მეღვინეობა“- ღვინომ „კრახუნა 2013“ ვერცხლის მედალი დაიმსახურა.

➤ **გამოფენა „HKTD - Hong Kong International Wine and Spirits Fair 2015“, ჰონგ-კონგი**

5-7 ნოემბერს ჰონგ-კონგში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 6 ქართული ღვინის კომპანია. ჰონგ-კონგის ღვინისა და სპირტიანი სასმელების საერთაშორისო გამოფენაზე - „HKTD - Hong Kong International Wine and Spirits Fair 2015“ - კომპანიის „კახური ღვინის მარანი“ ღვინომ „საფერავი 2011“ ორი უმაღლესი ჯილდო (გრანპრი ნომინაციაში „საუკეთესო რეგიონალური ღვინო აღმოსავლეთ ევროპაში“ და ოქროს მედალი) მოიპოვა.

გამოფენის ფარგლებში, ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი მარკეტინგული კომპანიის „Meiburg Wine Media” ხელმძღვანელმა, ღვინის მაგისტრმა დებრა მეიბურგმა ქართულ ღვინის სემინარი და და დეგუსტაცია გამართა.

➤ **„Interwine Guangzhou 2015”, ჩინეთი**

15-17 ნოემბერს ჩინეთში, ქალაქ გუანჯოუში ჩატარდა ღვინისა და სპირტიანი სასმელების მე-15 საერთაშორისო გამოფენა „Interwine Guangzhou 2015”. მასში მონაწილეობდა 9 ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანია. გამოვლინდა „Interwine Guangzhou 2015”-ს ფარგლებში ჩატარებული კონკურსის გამარჯვებული ღვინოები - 5 ქვეყნის 16 საუკეთესო ღვინომ ოქროს მედლები დაიმსახურა. მათ შორის იყო ქართული ღვინის კომპანიის „თელედას“ ქვევრის ღვინო - „თელედა - ქარვისფერი მშრალი“, 2011 წლის მოსავალი.

➤ **ქართული ღვინის დეგუსტაცია, ჩინეთი**

18 ნოემბერს ჩინეთის ქალაქ შენჟენში ქართული ღვინის დეგუსტაცია გაიმართა, რომელსაც 60-მდე ადგილობრივი დისტრიბუტორი, იმპორტიორი, ღვინის სპეციალისტი და მოყვარული დაესწრო. ღონისძიება ორგანიზებული იყო პეკინში ქართული ღვინის პოპულარიზაციის ცენტრის მიერ.

➤ **დეგუსტაცია კრაკოვში, პოლონეთი**

8 დეკემბერს პოლონეთის ქალაქ კრაკოვში ქართული ღვინის დეგუსტაცია-წარდგენა გაიმართა. ქართული ღვინის პრეზენტაციას კომპანია „Vinisfera”-ს დირექტორი მარიუს კაპჩინსკი უძღვებოდა. ღონისძიებას ადგილობრივი იმპორტიორები, ღვინის მაღაზიებისა და ბარების წარმომადგენლები, ბლოგერები, ღვინის პროფესიონალები და ღვინის თემაზე მომუშავე ჟურნალისტები დაესწრნენ.

2015 წელს ქართულმა ღვინოებმა არაერთი მნიშვნელოვანი აღიარება მოიპოვეს სხვადასხვა საერთაშორისო ღონისძიებაზე. მათ შორის, აღსანიშნავია:

- საფრანგეთის ქალაქ ბორდოში ივნისში გამართულ , ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ღვინის კონკურსზე, Les Citadelles Du Vin, "მეღვინეობა ხარებამ" 4 ჯილდო მოიპოვა: პრემიუმ კლასის ღვინო - "შატო ლიპარტიანი" (2012, დამ. მშრალი წითელი ღვინო) ➔ ოქროს მედალთან ერთად, შეჯიბრების სპეციალური პრიზით - თასით (ტროფი) დაჯილდოვდა.
ოქროს მედალი - "საფერავი კლასიკური" 2012, მშრალი წითელი ღვინო)
კრახუნა (2008, მშრალი თეთრი ღვინო) - ვერცხლი
კრახუნა (2014, მშრალი თეთრი ღვინო) - ვერცხლი
- 5-7 ნოემბერს ჰონგ-კონგის ღვინისა და სპირტიანი სასმელების საერთაშორისო გამოფენაზე - „HKTDCC - Hong Kong International Wine and Spirits Fair 2015” - კომპანიის „კახური ღვინის მარანი“ ღვინომ - „საფერავი 2011“ ორი უმაღლესი ჯილდო (გრანპრი ნომინაციაში „საუკეთესო რეგიონალური ღვინო აღმოსავლეთ ევროპაში“ და ოქროს მედალი) მოიპოვა. ბრინჯაოს მედლით დაჯილდოვდა ამავე კომპანიის ღვინო „მუკუზანი 2011“.
- პოლონეთის ქალაქ კრაკოვში, 4-6 ნოემბერს გამართული ღვინის მე-13 საერთაშორისო გამოფენა-გაყიდვა „EnoExpo 2015“-ის ფარგლებში გამართულ კონკურსზე კომპანიის - „ამირან ვეფხვაძის მეღვინეობა“ - ღვინომ „კრახუნა 2013“ ვერცხლის მედალი დაიმსახურა.
- 15-17 ნოემბერს ჩინეთში, ქალაქ გუანჯოუში ჩატარებულ ღვინისა და სპირტიანი სასმელების მე-15 საერთაშორისო გამოფენაზე „Interwine Guangzhou 2015” ჩატარებული კონკურსზე ქართული ღვინის კომპანიის „თელედას“ ქვევრის ღვინო - „თელედა - ქარვისფერი მშრალი“, 2011 წლის მოსავალი აიღო ოქროს მედალი.

- ქართული ღვინის შესახებ საიმიჯო სტატიები დაიბეჭდა შემდეგ გამოცემებში: **Drinks Business, Wiz air magazine, EasyJet magazine, Four magazine**

ასევე აღსანიშნავია ქართული ღვინის შემდეგი წარმატებები:

- ჟურნალ ForbesLife-ის სტატიაში “9 საუკეთესო ღვინო და სპირტიანი სასმელი, რომელიც უნდა დალიოთ 2015 წელს”, ქართული ღვინო საუკეთესოებს შორის მოხვდა. (<http://www.forbes.com/sites/adammorganstern/2014/12/29/the-9-best-wines-and-spirits-to-start-drinking-in-2015/>). საუკეთესო სასმელების რეიტინგი შედგენილია სომელიეების, მიქსოლოგებისა და ღვინის მწერლების გამოკითხვის საფუძველზე.
- ფრანგულმა საიტმა (<http://generationvignerons.com/>) ქართულ ღვინოს აპრილში 4 სტატია მიუძღვნა. მეღვინეობის თემის საიტისთვის მასალის მოსამზადებლად აპრილში საფრანგეთიდან 2 ჯგუფი იყო ჩამოსული.
- პირველი სტატია „ღვინის აკვანი“ (<http://generationvignerons.com/non-classe/georgie-1-le-berceau-du-vin/>) მოგვითხრობს ქართული ღვინის კულტურის 8 ათასწლიან ისტორიაზე. მეორე სტატიაში (<http://generationvignerons.com/nos-bonnes-adresses/domaines/georgie-2-le-sommelier-volant/>) საუბარია ცნობილი სომელიეს შთაბეჭდილებებზე ქართულ ღვინოზე. მესამე სტატია ეძღვნება ქვევრის ღვინოს (<http://generationvignerons.com/nos-bonnes-adresses/domaines/georgie-3-les-vins-en-qvevri/>), სადაც საუბარია, თუ რა ადგილი უკავია ქართველი კაცის ცხოვრებაში ქვევრის კულტურას და ქვევრის ღვინოს, მითითებულია, რომ ქვევრის ღვინის დაყენების ტრადიციული მეთოდს იუნესკომ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სტატუსი მიანიჭა.
- მეოთხე სტატია (<http://generationvignerons.com/nos-bonnes-adresses/domaines/georgie-4-lentrepeneur-francais/>) ეძღვნება ქართული ღვინის თანამედროვე ინდუსტრიას და მისი განვითარების პერსპექტივებს, საუბარია ქართული ღვინის უპირატესობებზე.
- მოგზაურებისთვის პოპულარული გზამკვლევის „LonelyPlanet“ სტატიაში „მსოფლიოს 10 ყველაზე დამაინტრიგებელი მეღვინეობის რეგიონი“ (<http://www.lonelyplanet.com/travel-tips-and-articles/ten-of-the-worlds-most-intriguing->

wine-regions), კახეთიც მოხვდა. საქართველოს ეს რეგიონი ათეულში მეშვიდე ადგილს იკავებს ახალი ზელანდიის, საფრანგეთის, ესპანეთის, სამხრეთ აფრიკის, ავსტრალიის და არგენტინის რეგიონების შემდეგ. ჩამონათვალში მოხვდნენ აგრეთვე კანადა და აშშ.

2. ექსპორტი

ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, 2015 წლის განმავლობაში, საქართველოდან მსოფლიოს 46 ქვეყანაში ექსპორტირებულია 36 071 399 ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც თანხობრივად 98 102 614 აშშ დოლარს შეადგენს.

წლის დასაწყისში დაფიქსირებული ექსპორტის მკვეთრი მატება შენარჩუნდა წლის ბოლომდე ერთ-ერთ სტრატეგიულ ბაზარზე - ჩინეთში, სადაც ქართული ღვინის ექსპორტის ზრდამ 122%-ს მიაღწია. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში სულ 12 თვეში ექსპორტირებულია 2 672 154 ბოთლი. ჩინეთმა ქართული ღვინის ექსპორტიორი ქვეყნების ხუთეულში მეოთხე ადგილი დაიმკვიდრა რუსეთის, ყაზახეთისა და უკრაინის შემდეგ.

ექსპორტის ზრდა ფიქსირდება ევროკავშირის მთელ რიგ ქვეყნებში: პოლონეთი 3% (1 600 302 ბოთლი), რომელიც ქართული ღვინის სტაბილურ, მზარდ ბაზარს წარმოადგენს. ასევე, ლიტვა - 4% (658 666), ესტონეთი - 54% (506 124), ნიდერლანდები - 58% (51 432), საფრანგეთი - 190% (37 956), დანია - 100% (34 840) და სხვა.

ასევე აღსანიშნავია ექსპორტის ზრდა ისეთ სტრატეგიულ ბაზრებზე, როგორცაა: აშშ - 31% (248 075), კანადა - 48% (157 836), იაპონია - 5% (138 290). ექსპორტი აგრეთვე გაიზარდა ყირგიზეთში - 79% (185 514), ისრაელში - 48% (35 820), კორეაში - 37% (24 054) და სხვა.

ექსპორტიორი ქვეყნების პირველი ხუთეული ასე გამოიყურება: რუსეთი - 18 308 177, ყაზახეთი - 5 195 949, უკრაინა - 3 412 453, ჩინეთი - 2 672 154 და პოლონეთი - 1 600 302 ბოთლი.

მთელ რიგ ქვეყნებში ექსპორტის ზრდის მიუხედავად, რეგიონში არსებული ცნობილი პოლიტიკურ-ეკონომიკური მოვლენების გამო, 2 უმსხვილეს ექსპორტიორ ქვეყანაში - რუსეთსა (-51%) და უკრაინაში (-56%) ექსპორტის მკვეთრი კლება აისახა წლიური ექსპორტის ჯამურ მაჩვენებელზე, რომელიც 2014 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 39%-ითაა შემცირებული.

აღსანიშნავია, რომ ექსპორტის საერთო მაჩვენებელი შემცირებულია მხოლოდ 2014 და 2013 წლებთან შედარებით, როდესაც რამდენიმეწლიანი ემბარგოს შემდეგ გაიხსნა რუსეთის ბაზარი და ამ ქვეყანაში ექსპორტმა პიკს მიაღწია. მაგალითისთვის, 2012 წელს ექსპორტირებული იყო მხოლოდ 23,3 მლნ ბოთლი ღვინო, 2011 წელს – 19,0 მლნ ბოთლი, 2010 – 14,8 მლნ ბოთლი, 2009 – 10,9 მლნ ბოთლი.

ამასთან ერთად, 2015 წელს საქართველოდან 21 ქვეყანაში ექსპორტირებულია 7 266 755 ბოთლი (0,5 ლ) ბრენდი, რაც თანხაში 18,6 მლნ აშშ დოლარს აღწევს.

საქართველოდან მსოფლიოს 7 ქვეყანაში ექსპორტირებულია 8,9 მლნ ლიტრი საბრენდე სპირტი, რაც თანხაში 26,5 მლნ აშშ დოლარია.

გასულ წელს მსოფლიოს 21 ქვეყანაში ექსპორტირებულია 118 890 ბოთლი (0,5 ლ) ჭაჭა. ეს კი თანხაში 466,3 ათასი აშშ დოლარია.

მთლიანობაში ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, ღვინომასალის, ჩამოსასხმელი ბრენდისა და საბრენდე სპირტის ექსპორტის შედეგად მიღებულმა შემოსავლებმა 2015 წელს შეადგინა 146,5 მლნ აშშ დოლარი.

3. რთველი

სააგენტოს ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა რთველის ორგანიზებულად ჩატარებაა, რასაც ტრადიციულად წინ უძღვის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ღვინის ეროვნული სააგენტოსა და სხვა დაინტერესებული უწყებების ურთიერთშეთანხმებული და კოორდინირებული საქმიანობა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ღვინის ეროვნული სააგენტოს მხრიდან რთველის პროცესის სწორად დაგეგმვისა და წარმართვის შედეგად პრაქტიკულად გამოირიცხა კონკურენცია სახელმწიფო და კერძო კომპანიებს შორის.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, 2015 წლის რთველის ფარგლებში, სახელმწიფოს მიერ სუბსიდია 1 კგ რქაწითელსა და კახურ მწვანეზე განისაზღვრა - 35 თეთრი, ხოლო 1 კგ. საფერავზე - 15 თეთრი. სუბსიდია გაიცემოდა პირდაპირ მევენახეებზე და არა ღვინის მწარმოებელ კომპანიებზე, როგორც ეს ბოლო 2 წლის განმავლობაში ხდებოდა. მოსახლეობაზე გაცემულმა სუბსიდიამ 35,7 მლნ ლარი შეადგინა.

კახეთისა და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში გადამუშავებულია 146 057 ტონა ყურძენი, რაც ბოლო დაახლოებით 25 წლის რეკორდული მაჩვენებელია. მოსავლის რეალიზაციის შედეგად მიღებულმა შემოსავლებმა 104 644 184 ლარს მიაღწია. ღვინის ქარხნებში ყურძენი 18 ათასზე მეტმა მევენახემ ჩააბარა.

4. საკანონმდებლო საქმიანობა

სსიპ ღვინის ეროვნულ სააგენტოში დასრულდა „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე მუშაობა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს კანონპროექტის განხილვა საქართველოს პარლამენტში.

ცვლილებების მიზანი ამ კანონის სრულყოფა და საერთაშორისო კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციაა. კანონში შეტანილი ცვლილებები ხელს შეუწყობს საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის, როგორც ქვეყნის ისტორიულად, კულტურულად და ეკონომიკურად პრიორიტეტული დარგის განვითარებას, ადგილობრივი მრავალსაუკუნოვანი ქართული ვაზის ჯიშების, მეღვინეობის ქართული ტრადიციული მეთოდების გავრცელებასა

და პოპულარიზაციას, მაღალხარისხიანი ყურძნის, ღვინისა და ყურძნისეული წარმოშობის სხვა ალკოჰოლიანი სასმელების წარმოებასა და რეალიზაციას, საქართველოში ღვინისა და სხვა ალკოჰოლიანი სასმელების კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარებასა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვას, ქართული მევენახეობა-მეღვინეობის საერთაშორისო რეპუტაციის შენარჩუნებასა და ზრდას.

5. სერტიფიცირების ახალი წესები

ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების ხარისხის კონტროლის სისტემის გაუმჯობესების მიზნით, თებერვლიდან ალკოჰოლიანი სასმელების სერტიფიცირების ახალი წესები ამოქმედდა. ცვლილებების შედეგად, ღვინის ეროვნულ სააგენტოს საშუალება ექნება უფრო ეფექტურად და კვალიფიციურად წარმართოს ალკოჰოლიანი სასმელების სერტიფიცირების, საინსპექციო კონტროლისა და მასთან დაკავშირებული სხვა პროცედურები. ახალი რეგულაციები ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების ხარისხის კონტროლის სისტემის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად.

აღნიშნულ ცვლილებებთან დაკავშირებით, სააგენტოში მომზადდა სპეციალური გზამკვლევი ყველა დაინტერესებული პირისთვის, რომელიც განთავსდა სააგენტოს ვებ-გვერდზე შემდეგ მისამართზე: <http://georgianwine.gov.ge/geo/text/183/>.

6. WWTG-ს თავმჯდომარეობა

2015 წლის 30 აპრილსა და 1 მაისს, ბრიუსელში ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის (WWTG) ყოველწლიური შუასასესიო შეხვედრა გაიმართა, სადაც საქართველოს ერთწლიანი თავმჯდომარეობის პერიოდი დადებითად შეფასდა.

WWTG სახელმწიფოთა არაფორმალური გაერთიანებაა, რომლის მიზანია ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს (აშშ, კანადა, არგენტინა, ჩილე, სამხრეთ აფრიკა, ავსტრალია, ახალი ზელანდია, საქართველო) შორის ღვინით ვაჭრობის გამარტივება.

საქართველო WWTG-ს 2014 წლის აპრილიდან 1 წლის განმავლობაში თავმჯდომარეობდა და ამ პერიოდში მოხდა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების შეთანხმება და დოკუმენტების

შემუშავება, რომლებიც ამ ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს შორის ღვინით ვაჭრობის პროცედურებს გაამარტივებს.

7. საინსპექციო კონტროლი

საანგარიშო პერიოდში 30 ღვინის საწარმოში განხორციელდა საინსპექციო კონტროლი, რომლის დროსაც აღებული იქნა 194 ნიმუში. მათ შორის: შპს „კორპორაცია ქინძმარაული“, შპს „ქინძმარაულის მარანი“, შპს „კორპორაცია ქართული ღვინო“, შპს „ბადაგონი“, შპს „ქინძმარაული“, შპს „საქართველო“, შპს „კახეთი-კ“, შპს „თელიანი ველი“, შპს „ვაინმენი“, შპს „ქართული ღვინის სახლი“, შპს „ტიფლისკი ვინნი პოგრებ“, შპს „ასკანელი ძმები“, შპს „ბესინი“, სს „თელავის ღვინის მარანი“, შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობა“, შპს „მარნისკარი“, შპს „დუგლაძეების ღვინის კომპანია“, შპს „ვაზი+“, სს „თბილღვინო“, შპს „ვაზიანი კომპანი“, შპს „კახეთი 3000“, შპს „წინანდლის ძველი მარანი“, შპს „GWS“, შპს „GRW“, შპს „ჰერეთის ღვინის მარანი“, სს „შატო მუხრანი“, შპს „იმედი-96“, შპს „შუხმან ვაინს ჯორჯია“, სს „თელიანი ველი“, შპს „ტემპი+“.

8. ვენახების კადასტრის პროგრამა

ღვინის ეროვნულმა სააგენტომ ვენახების კადასტრის პროგრამის განხორციელება 2014 წელს რაჭა-ლეჩხუმის რეგიონიდან დაიწყო. პროგრამა მოიცავს ვენახების ფართობების აღრიცხვას, რეგისტრაციას, პასპორტიზაციას, სპეციფიკური ზონების - საზღვრების დაზუსტებასა და მევენახეობის კადასტრის წარმოებას; მევენახეთა და მევენახეობა-მეღვინეობის სექტორის სუბიექტების საანკეტო მონაცემების შეგროვებას. კადასტრის ერთიანი სისტემა წარმოაჩენს ვენახებისა და ღვინის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მდგომარეობის დინამიკას. კადასტრის სისტემის საფუძველია იტალიური კომპანია ABACO-ს მიერ დამუშავებული ერთიანი მონაცემთა ბაზა, რომელშიც განთავსდება ინფორმაცია მიწის ნაკვეთებზე - გეოგრაფიულ საინფორმაციო სისტემაზე (GIS) დაფუძნებული სატელიტური რუკები, სადაც მოხდება ყველა დანარჩენი ინფორმაციის დაკავშირება ვენახების ადგილმდებარეობის და მათი მესაკუთრეების, ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოებისა და სანერგეების ჩათვლით.

ღვინის ეროვნულ სააგენტომ მიმდინარე საანგარიშო პერიოდში გააგრძელა წინა წელს დაწყებული საკადასტრო სამუშაოები კახეთში, ყვარლის მუნიციპალიტეტში.

შესრულებული იქნა შემდეგი სამუშაოები:

- სატენდერო პირობების მიხედვით შეირჩა კომპანია „რუკა მაპინგი“, რომელიც ივლისიდან შეუდგა ვენახების გადაღებას უპილოტო საფრენი აპარატით ყვარლის რაიონში ვენახების ორთოფოტოების მომზადების, მევენახეების საანკეტო მონაცემებისა და ვენახების ძირითადი პარამეტრების (ჯიში, საძირე, კვების არე, ვენახების მდგომარეობა, რწყვის არსებობა და ა.შ.) შეგროვების მიზნით. სულ ყვარელში გადაღებული იქნა 13 სოფელი, 5533,4 ჰექტარი ვენახი, რომლებიც წმოდგენილია 8588 სავენახე ნაკვეთის სახით.
- საქართველოს ვენახების კადასტრის მონაცემთა ერთიან ბაზაში აიტვირთა რაჭა - ლეჩხუმის საკადასტრო ინფორმაცია. მოხდა ამ ინფორმაციის სრულყოფის გზების დაგეგმვა სოფლის მეურნეობის სამინისტროს ადგილობრივ საკონსულტაციო ცენტრებთან ერთად;
- რაჭა-ლეჩხუმის სოფლის მეურნეობის საკონსულტაციო სამსახურების თანამშრომლებისთვის გაიმართა აბაკოს მონაცემთა ბაზის წარდგენა და მიღწეული იქნა შეთანხება მისი ერთობლივი ოპერირებისა და სრულყოფის მიზნით;
- პორტუგალიელ ექსპერტთან ა. ლუქთან თანამშრომლობის შედეგად დამუშავებული იქნა საქართველოს ვენახების კადასტრის სამოქმედო კონცეფცია, რომელიც 19 ნოემბერს წარედგინა სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის, მევენახეობა-მეღვინეობის სექტორის საწარმოებსა და ამ სფეროში მომუშავე ასოციაციებს შემდგომი განხილვის მიზნით.

9. ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევა და პოპულარიზაცია

2014 წელს სააგენტომ „ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევისა და პოპულარიზაციის“ პროექტის განხორციელება დაიწყო, რომლის მიზანი საქართველოს

ღვინის კულტურის უძველეს კერად დადასტურებისათვის ახალი მონაცემების შეგროვება, მევენახეობა-მეღვინეობის უწყვეტი ისტორიის რეკონსტრუქცია და ქართული ღვინის პოპულარიზაცია.

შესრულებული სამუშაოები:

- ვეისმანის უნივერსიტეტის (ისრაელი) D-REAMS რადიოკარბონული დათარიღების ლაბორატორიაში განხორციელდა ვაზის წიპწის 6 ნიმუშის დათარიღება C14 მეთოდით.
- საქართველოს ეროვნული მუზეუმის მიერ შეირჩა და დანიის უნივერსიტეტის „GeoGenetics“ ლაბორატორიაში გაიზავნა ვაზის წიპწები სხვადასხვა პერიოდის არქეოლოგიური ძეგლებიდან, სადაც ხორციელდებოდა კვლევები მოლეკულური გენეტიკის სფეროში, რაც მოიცავს ძველი დნმ-ის ექსტრაქციას და სექვენირებას შედეგების შემდგომი შედარების მიზნით თანამედროვე ნიმუშების დნმ-თან ვაზის დომესტიკაციის პროცესების ახსნისა და ძველ მსოფლიოში მისი გავრცელების გზების გამოკვეთის მიზნით. შესაძლებელი გახდა ოთხი ნიმუშის დნმ ექსტრაქცია, რომელიც შედარდა კავკასიის რეგიონის თანამედროვე ვაზის ჯიშებს გენების ძველ და ახალ ჯიშებს შორის შესაძლო გენეტიკური კავშირების ძიების მიზნით.
- ძველი დნმ-ის შესწავლის პარარელურად განხორციელდა კვლევები საფრანგეთის აგრარული კვლევების ეროვნული ინსტიტუტის (INRA) მკვლევარის რ. ბაჩლიერის მიერ ვაზის ქართული ჯიშების და ველური ვაზის 120 გენოტიპის იმავე მოლეკულური მეთოდებით შესწავლის მიმართულებით, რათა განხორციელდეს ძველი და ახალი დნმ-ის ურთიერთშედარება ვაზის გენების მიგრაციული კვალის გამოსავლენად. ამ კვლევების შედეგად შედგენილი იქნა დნმ ბიბლიოთეკა, სექვენსირება, SNPs ექსპერიმენტი, სტატისტიკური ანალიზი და შედარება ვასალის მონაცემთა ბაზასთან. შედეგად, იკვეთება მჭიდრო გენეტიკური კავშირები საქართველოს ველურ და კულტივირებულ ვაზს შორის, ქართულ გენოფონდსა და ვაზის აზიურ სახეობებს შორის.
- საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდა ორი არქეოლოგიური ექსპედიცია და გათხრების ორგანიზება „შულავერის

კულტურის“ (მვ. წ. მე-6 ათასწლეული) ძეგლზე სახელწოდებით „გადაჭრილი გორა“, სადაც მუზეუმის არქეოლოგთა ჯგუფმა იმუშავა მევენახეობა - მეღვინეობასთან დაკავშირებული არტეფაქტების მოპოვების მიზნით, რომელთა ნაწილი 2015 წელს იყო ჩართული ინტერდისციპლინალურ (არქეობოტანიკური, პალინოლოგიური, ბიომოლეკულური) კვლევებში. პარალელურად, განხორციელებული იქნა პრაქტიკული ღონისძიებები ძეგლის დაცვის უზრუნველსაყოფად. ტორონტოს უნივერსიტეტთან (კანადა) წარმოებული მოლაპარაკების შედეგად მიღწეულია შეთანხმება, რომ ეს უნივერსიტეტი 2016 წელს ქართველ მეცნიერებთან ერთად მიიღებს მონაწილეობას „გადაჭრილი გორის“ გათხრებში.

- შესრულდა „გადაჭრილი გორის“ (მარნეული, მვ. წ. მე-6 ათასწლეული) არქეოლოგიური ძეგლზე და „თრელიგორების“ არქეოლოგიური მარნიდან (დიდომი, ანტიკური პერიოდი) წარმოებული გათხრების დროს მოპოვებული არქეობოტანიკური და პალეობოტანიკური მასალის ლაბორატორიული შესწავლა საქართველოს ეროვნული მუზეუმის მკვლევართა ჯგუფის მიერ. „გადაჭრილ გორაზე“ დაფიქსირდა უძველესი მტვრის მარცვლის არსებობა, ხოლო „თრელი-გორაზე“ აღმოჩენილი იქნა ვაზის წიპწები.
- პროექტის მონაწილე პროფ. პ. მაკგოვერნის (კენსილვანიის უნივერსიტეტის მუზეუმი, აშშ) მიერ განხორციელდა „შულავერის კულტურის“ არქეოლოგიური ძეგლებიდან („გადაჭრილი გორა“, „არუხლო“, „შულავერი“) აღებული 10 თიხის და 7 მიწის ნიმუშის შესწავლა მაღალმგრძნობიარე სითხური ქრომატოგრაფის მეთოდით.
- განხორციელდა მონაცემთა შეკრება და ხელნაწერის მომზადება ნაშრომისათვის პირობითი სათაურით „არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული კატალოგი“, რაც პარალელურად მოიცავდა შეგროვებული მონაცემების ატვირთვას პროექტის ვებ-გვერდზე - სწორედ წლის განმავლობაში შეკრებილი 610 სტატია, ინტერვიუ და სურათი დაედო საფუძვლად ამ ახალი პუბლიკაციის მომზადებას, რომლის ელექტრონული ვერსია სათაურით „ვაზი და ღვინო საქართველოში არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით“ გადმოეცა სააგენტოს პუბლიკაციის მიზნით;

- მიღწეული იყო შეთანხმება გარემოს ეროვნული სააგენტოს თანამშრომლობის შესახებ აღნიშნულ პროექტთან, რაც გულისხმობს ერთობლივი პროდუქციის შექმნას საქართველოს მევენახეობის აგროკლიმატური დახასიათების მიზნით. ამ პერიოდისათვის შესრულებული კვლევის შედეგები წარდგენილი იქნა საერთაშორისო კონფერენციაზე თურქეთსა და თბილისში;
- მილანის უნივერსიტეტმა (იტალია) წარმოადგინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შედეგები, რომელიც ეხება საქართველოს მევენახეობის აგროკლიმატურ დახასიათებას და აგროკლიმატური ინდექსების გამოთვლას, კლიმატის ცვლილებების ანალიზს საქართველოში, კლიმატის ისტორიული რუკის შედგენას, ვაზის ქართული ჯიშების ფენოლოგიური მოდელების დამუშავებას. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით მომზადებული იქნა ტექნიკური სახელმძღვანელო საქართველოს მევენახეობის აგროკლიმატური აღწერისათვის და ერთი სტატია გადაცემული იქნა დასაბეჭდად სამეცნიერო ჟურნალში International Journal of Biometeorology.
- მიღწეული იყო შეთანხმება იტალიელ მკვლევარ ფულვიო მატისთან (ედმუნ მარკის სახელობის ინსტიტუტი, სან მიქელე ალ'ადიჯე, ტრენტო), რომ ის ორ გერმანულ ლაბორატორიასთან თანამშრომლობით განახორციელებს 1957 წელს ჭობისხევის გათხრების დროს აღმოჩენილი და დღეს ბორჯომის მხარეთცოდნეობის მუზეუმში დაცული ღვინის ნიმუშების ქიმიურ ანალიზს და C14 მეთოდით დათარიღებას;
- ღვინის ეროვნული სააგენტოს განახლებულ შენობაში, საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან თანამშრომლობით მოწყობილი იქნა „ვაზისა და ღვინის მუზეუმი“;
- ქართული ვაზის ჯიშების დნმ მარკერებით დახასიათების მიზნით მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებული იქნა სტატია: De Lorenzis G., Chipashvili R., Failla O. and Maghradze D. 2015. Study of genetic variability in *Vitis vinifera* L. germplasm by high-throughput Vitis18kSNP array: the case of Georgian genetic resources. BMC Plant Biology, 15:154;

- ფართო საზოგადოებას სისტემატიურად მიეწოდებოდა ინფორმაცია პროექტის მიმდინარეობის შესახებ, რომელთა შორისაც შეიძლება დასახელებული იქნეს ჟურნალ National Geographic-ში 14 აპრილს გამოქვეყნებული ცნობილი მოგზაურის Paul Salopek-ის სტატია “Ghost of the Vine: In Georgia, science probes the roots of winemaking”; 27 აპრილს საინფორმაციო საშუალებების (EuroNews, ქართული ტელეარხები, Georgian Journal) მიერ ფართოდ გაშუქებული „გადაჭრილი გორის“ გათხრები; ინტერნეტ-გამოცემა „კომერსანტის“ 9 ნოემბრის სტატია და ასე შემდეგ;
- პროექტის მონაცემთა ბაზა (<http://research.georgianwine.gov.ge/>) სისტემატიურად ივსებოდა ახალი სტატიებით.